წინასიტყვაობა

ჩვენი ჟურნალი აგრძელებს ტრადიციას და გთავაზობთ მეოთხე ნომერს, რომლის ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიები კვლავაც საქართველოსა და რეგიონის ისტორიული თავგადასავლის მნიშვნელოვანი ეპიზოდების საზრისის წვდომას ეძღვნება. ისტორია არაა ზუსტი მეცნიერება და მხოლოდ ბუნებისმეტყველების შესაფერისი პოზიტივისტური მემკვიდრეობით მას ვერ მივუდგებით. მისი ქარაგმების ამოხსნა მუდმივად იქნება იმაზე დამოკიდებული თუ წარსულის რა წახნაგების ხელახალი გარჩევაა დღეს აქტუალური – როგორც ისტორიკოსი ამბობდა, მისი საგანი ხომ მუდმივი დიალოგია აწმყოსა და წარსულს შორის. ამ დიალოგის გარეშე არ არსებობს არც ინდივიდუალური და არც საზოგადოებრივი/კოლექტიური იდენტობა.

ბექა ჭიჭინაძე ჩვენი შუა საუკუნეების ევროპულთან და ახლო აღმოსავლურთან განუხრელად დაკავშირებულობის მაგალითს კონკრეტული არტეფაქტის განხილვით გვაძლევს და ასე ჩადის საქართველოს კულტურული ისტორიის სიღრმეებში. სერგო რატიანი სიცოცხლეს უბრუნებს მე-20 საუკუნის ქართულ პოლიტიკურ დრამას, კერძოდ კი ილიას მცდელობას, გარკვეულიყო სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების ლაბირინთებში, რომლის ადეპტებმა, დიდი ალბათობით, ამ მცდელობათაგან სულ ცოტა ხანში მოუსწრაფეს კიდეც ქართველი ერის „დამფუძნებელ მამას“ სიცოცხლე. დავით ჯიშკარიანი ახლებურ საზრისს ანიჭებს ისტორიის ინტერპრეტაციებით ეთნიკური ნაციონალიზმის მობილიზების შესაძლებლობებს და მაგალითად ქართულ-აფხაზური დრამის ეპიზოდები მოაქვს. გიორგი ასტამაძე უფრო აღწერილობით სურათს გვიქმნის ქართული ისტორიის მივიწყებული თუ იგნორირებული ეტაპის – ქართულ-გერმანული სამხედრო თანამშრომლობის – შესახებ. კონსტანტინე ლადარია და სოსო მეზვრიშვილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გააზრებას ცდილობენ და ამით გვახსენებენ, რომ ისტორია არაა მხოლოდ დიდი ხნის წინ გარდასულ წელთა ამბავი – იგი ცოცხალია, სანამ ვარსებობთ ჩვენ, მისი ინტერპრეტატორები თუ მკითხველები. კახაბერ კურტანიძე კი ცდილობს შეეჭიდოს ალბათ ერთ-ერთ ურთულეს და სახიფათო იდეოლოგიურ-გეოპოლიტიკურ გამოწვევის, ევრაზიანიზმის წინააღმდეგობრივ და დაუსრულებელ ფესვებს, იპოვოს განსხვავება მასში არსებულ ბიზანტიური მართლმადიდებლობის წანამძღვრებსა და მოსკოვურ რეინტერპრეტაციებს შორის.

ჩვენი რეგიონი კვლავ ცხოვრობს ისტორიის აჩრდილებში და რუსული აგრესია უკრაინის მიმართ ასეც შეგვიძლია გავიგოთ. მის მიზეზებში რუსული პოლიტიკური კლასის ისტორიოსოფია გადამწყვეტია. შესაბამისად, აუცილებელია აჩრდილთა სამყაროდან მეტნაკლებად ადეკვატურ ისტორიულ კონტურებზე გასვლა. იმედია, „ისტორიის რეკონსტრუქციების“ ეს ნომერიც გარკვეული წვლილის შემტანია ამ საშურ საქმეში.

ნომერი გთავაზობთ სიახლესაც – პოლემიკას ქართველ ისტორიკოსთა შორის, რომელშიც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბექა კობახიძე და ჯაბა სამუშია მონაწილეობენ.

ვიმედოვნებთ, რომ ეს დასაბამია და მომავალი ნომრების ფურცლებზე ჩვენი ისტორიკოსები, ან ჩვენი ისტორიით დაინტერესებული უცხოელი მკვლევრები განაგრძობენ კამათს, გააღრმავებენ მის კონცეპტუალურ საზრისს, რადგან ისტორია რეალობის აღქმის სპეციფიკური სისტემაა და, ამით, უფრო თეორიულ სოციალურ მეცნიერებებს არ ჩამოუვარდება.

დავით დარჩიაშვილი